АО „ТЕЛАСИ“ **სს „თელასი“**

TELASI 5 14 00054092

29/08/2014

მოქ. შ.პ.ს. ბბ კომპანი, შოთა ბალავაძე
მის. კოსტავას ქ.#26

თქვენი 20.08.2014წ. #52353 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე გადის სს „თელასის" კუთვნილი 6კვ–იანი ორჯაჭვიანი საჰაერო ელ. გადამცემი ხაზი.

საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1. საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის განაპირა სადენიდან ორივე მხარეს 3 მეტრზე ახლო მანძილზე აკრძალულია მრავალწლიანი ნარგავების გაშენება.
2. მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარე მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილებამდე არ უნდა იყოს 2 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით.
3. აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 6კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის).
4. სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (10 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს) ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს „თელასის“ შესაბამის სამსახურთან.

სს „თელასის" ტექნიკური
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზ.ვაშაკიძე

შემსრულებელი შრომის დაცვის და სახანძრო
უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი მ. ჩიღუნაძე

საქართველო, თბილისი, 0159 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0159, ул. Ванская 3
Тел. +995 (32) 225 52 11; Факс: +995 (32) 277 99 81

29.08.2014წ. № 1/5/652/8.2

შ.პ.ს. „ბბ კომპანი"-ს დირექტორს

თქვენი წერილის (21.08.2014.) პასუხად გაცნობებთ, თქვენს მიერ წარმოდგენილ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი : # 01.72.14.014.439 036) შ.პ.ს. ,,ახალ ქსელებს" გააჩნია სატელეფონო კომუნიკაციები რის გამოც საჭიროა სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებული იქნეს ჩვენი წარმომადგენელი. ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალედებულება დაგეკისრებათ თქვენ, მიუხედავად ბრალეულობისა.

თქვენს წერილში აღნიშნული ვალდებულება ჩვენს საკომუნიკაციო არხებთან, სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში ჩვენი თანამშრომლების დაშვებასთან დაკავშირებით უნდა გავრცელდეს სადღეღამისო რეჟიმში, ასევე თქვენი საკუთრების გასხვისების შემთხვევაში აღნიშნული ვალდებულებები უნდა აიღოს თქვენმა სამართალმემკვიდრემ.

საკონტაქტო ტელეფონი: 2 11 00 00.

პატივისცემით,
დირექტორი ნ. შარაშენიძე

შემსრულებელი: ზ. მაჭავარიანი მობ. 571 88-89-83